ნანას ბრწყინვალე წარმატება

გუშინწინ ოხრიდში (იუგოსლავია) დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. ალექსანდრიამ (18 ქულა 17-დან). II-III ადგილები გაიყვეს ბაქოელმა ტ. ზატულოვსკაიამ და ბელგრადელმა მ. ლაზარევიჩმა — 12-12 ქულა.

სამწუხაროდ, ჯერ არ მოგვეპოვება ტურნირის ფინიშზე ყველა ლიდერის შეხვედრების შედეგები. ვიცით მხოლოდ, რომ ალექსანდრიამ ყაიმით დაამთავრა ბოლო ორი ტურის (პოლონელ კ. რაძიკოვსკასთან და ზატულოვსკაიასთან) შეხვედრები, ხოლო ლაზარევიჩმა მოუგო თანამემამულე კ. იოვანოვიჩსა და ბრაზილიელ რ. კორდოსოს.

ამრიგად, პრეტენდენტთა მატჩებში ითამაშებენ ალექსანდრია, ზატულოვსკაია და ლაზარევიჩი. მათ შეუერთდებათ ა. კუშნირი. ჯერ შედგება ორი ნახევარფინალური მატჩი: კუშნირი — ზატულოვსკაია და ალექსანდრია — ლაზარევიჩი. ამ ორთაბრძოლებში გამარჯვებულნი ფინალურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. აქ უძლიერესი მსოფლიო ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე იქნება.

პრეტენდენტთა მატჩები შემოდგომაზე ჩატარდება. მათს ადგილსა და ვადებს ფიდე-ს უახლოესი სხდომა დაადგენს. ნ. გაფრინდაშვილთან მატჩი გაისად გაიმართება.

ნახევარფინალებში ერთმანეთს ხვდებიან: კუშნირი — ზატულოვსკაია ● ალექსანდრია — ლაზარევიჩი



ნ. ალექსანდრია

ტ. ზატულოვსკაია

მ. ლაზარევიჩი

ოჯახური დუეტის გამარჯვება

მინსკი, 31 მაისი. აქ ჩატარდა სოციალისტური ქვეყნის საერთაშორისო საგზატკეცილო ავტორბოლა „მეგობრობის თასზე“.

პრიზიორთა დაჯილდოებისას საპატიო კვარცხლბეკზე გდრ-ის სამი წარმომადგენელი ავიდა. აქედან ორი გვარად მელკუსი იყო. მამამ — ჰაინც მელკუსმა ყველაზე სწრაფად დაფარა 88,66-კილომეტრიანი წრიული ტრასა საკუთარი კონსტრუქციის „ვარტბურგის“ სარბოლი ავტომანქანით. მან პირველი პრიზი მიიღო. მეორე ჯილდო ხვდა ჰაინცის ვაჟს ულრიჰს.

III ადგილი დაიკავა პ. კრაუზემ. IV და V ადგილებზე შესაბამისად ჯავიდნენ მოსკოველი ვ. გრეკოვი და ტალინელი ე. გრიფელი.

გერმანელთა გუნდმა „ვარტბურგის“ მანქანებით I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც გამოდიოდა ახალი სარბოლი მანქანებით „ესტონია-16 მ“. ტალინში გაკეთებულ ამ მანქანებს „მოსკვიჩ-412“-ის ძრავები აქვთ, რომელთა სიმძლავრეც 100 ცხენის ძალამდეა გაზრდილი, სამუშაო მოცულობა —1600 კბ სმ. (საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108
(4358)

1971 წ.
2 ივნისი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეკორდები

ბალხაში, 31 მაისი. ალმაათის სახლმშენებელი კომბინატის მუშამ, მსუბუქი წონის ძალოსანმა ვ. დრექსელმა, რომელიც ყაზახეთის კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამოვიდა, მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა აზიდვაში. მისი შედეგი—148,5 კგ ერთი კილოგრამით სჯობს უნგრელი ი. მატეს ამასწინანდელ მიღწევას, დრექსელის ძველი მსოფლიო რეკორდი კი 147 კილოგრამს უდრიდა.

ტოკიო, 1 ივნისი. მშვილდოსნობაში XXVI მსოფლიო ჩემპიონატისთვის (26 ივლისს იწყება ინგლისში) აქ გამართულ შესარჩევ ტურნირში იაპონელმა ს. ნაკომოტომ ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 4 დისტანციაზე (90, 70, 50 და 30 მეტრზე) სროლის ჯამში 1252 ქულა დააგროვა 1440-დან (ეს შედეგი 2 ქულით აღემატება ფინელი ი. სანდელინის ძველ მიღწევას), ხოლო 50 მეტრზე სროლაში — 320 ქულა 360-დან. ძველი რეკორდი — 317 ქულა — სანდელინს ეკუთვნოდა.

როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19^{45}

◆ **მიუნხენი,** 1 ივნისი. კ. ვოლფერმანმა (გფრ) აქ შუბი 86,28 მეტრზე ტყორცნა.

◆ **პარიზი,** 1 ივნისი. 400 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კოლეტ ბესონმა (საფრანგეთი) „თავისი“ დისტანცია 53,2 წამში დაფარა. ეს მეორე შედეგია წლეულს ევროპაში.

მძლეოსნობა

პრეტენდენტთა მატჩები

კორჩნოი — გელერი 5,5:2.5

მოსკოვი, 1 ივნისი. გუშინ საბჭოების სახლის ოქტომბრის დარბაზში შედგა საბჭოთა დიდოსტატების კორჩნოისა და გელერის მატჩის VIII პარტია. გელერმა თამაში ისევ მეფის პაიკით დაიწყო. არც კორჩნოის უღალატია „ტრადიციისთვის“: მან სიცილიური დაცვა აირჩია. გაჩაღდა საინტერესო ბრძოლა.

გელერმა თანდათან თვალშესავლები უპირატესობა მიიღო. პოზიცია გადამწყვეტი დარტყმისთვის მომწიფდა. გელერი აყოვნებდა. აქსიომაა: თუ დააგვიანე, ან თავი შეიკავე პოზიციური უპირატესობის სარეალიზაციო კომბინაციისგან, ეს უპირატესობა კვამლივით გაქრება. გელერსაც ასე დაემართა. ვერ გაბედა ფიგურის შეწირვა, რაც დიდოსტატთა უმრავლესობის აზრით, თამაშის ლოგიკური გაგრძელება იყო. კორჩნოიმ გაათანაბრა პოზიცია. მოსკოველი დიდოსტატის თავშეკავება ყველამ ცაიტნოტით ახსნა. ამ ცაიტნოტმა ბოლოს გელერი უფრო მეტად დააზარალა.

რთულმა თამაშმა გელერის მთელი დრო შეიწირა და 38-ე სვლაზე მას საათზე ალამი ჩამოუვარდა. წაგება.

ასე დამთავრდა კორჩნოი—გელერის ორთაბრძოლა. ნახევარფინალურ მატჩში კორჩნოი შეხვდება მსოფლიოს ექსჩემპიონს პეტროსიანს.

ლარსენი — ულმანი 5,5:3,5

ლას-პალმასი, 1 ივნისი. როგორც ვიუწყებოდით, ლარსენ (დანია) — ულმანის (გდრ) მატჩის IX პარტია გადაიდო „დანიელი უფლისწულის“ მცირე პოზიციური უპირატესობით. გუშინ მეტოქეებმა ბრძოლა განაახლეს. ლარსენმა ოსტატურად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

ამრიგად, ორთაბრძოლა მოიგო ლარსენმა. ნახევარფინალში მისი მეტოქე ფიშერი (აშშ) იქნება.

პროგნოზები გამართლდა

ყველა მიმომხილველი თითქმის ერთსულოვნად წინასწარმეტყველებდა პეტროსიანის, კორჩნოის, ფიშერისა და ლარსენის გამარჯვებას მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩებში. ეს არც იყო ძნელი: მეტოქეთა ადრინდელი მიღწევები თავად უკარნახებდათ გამარჯვებულის ვინაობას.

პეტროსიანი რომ ჰიუბნერს (გფრ) დაამარცხებდა, ამაში არც თვით გერმანელ მოჭადრაკეს ეპარებოდა ეჭვი. ლარსენი დარწმუნებული იყო, რომ ულმანი ვერ გაუძლებდა მის „ხრიკებს“. ფიშერს ტაიმანოვი რომ ვერაფერს დააკლებდა, ეს თვით საბჭოთა დიდოსტატის ქომაგებმაც იცოდნენ, თუმცა ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით წაგებას ვერავინ წარმოიდგენდა (მათ შორის, ტაიმანოვიც). სპეციალისტები მხოლოდ კორჩნოი — გელერის მატჩის შედეგზე ვერ ამბობდნენ გადაჭრით რაიმეს. ცოტანი მაინც კორჩნოის აძლევდნენ უპირატესობას.

პროგნოზები გამართლდა. კარგია, როცა უძლიერესი იმარჯვებს.

ორიოდე სიტყვა თითოეულ მეოთხედფინალურ მატჩზე.

პეტროსიანი — ჰიუბნერი 4:3. 22 წლის ჰიუბნერს დიდი ფსიქოლოგიური დაბრკოლება შეხვდა. პეტროსიანმა თავისი საყაიმო ტენდენციებით მოქანცა იგი. ახალგაზრდა დიდოსტატი მზად იყო ხელჩართული ბრძოლისთვის, ათასგვარი ტაქტიკური მუქარის მოსაგერიებლად. მას კი პეტროსიანმა ღრმად სტრატეგიული, მდორე თამაში შესთავაზა. ჰიუბნერი დაღალა იმის მოლოდინმა, როდის დაიწყებდა მისი მრისხანე მეტოქე მოგებაზე თამაშს. ბოლოს თავად ჰიუბნერი შეუდგა ტაქტიკური ბრძოლისთვის სამზადისს, იერიშიც წამოიწყო, მაგრამ ზედიზედ ექვსი ყაიმის შემდეგ მაინც დამარცხდა. ამ წაგებამ გერმანელი დიდოსტატი მწყობრიდან გამოიყვანა: თამაშის გაგრძელებას ვადამდე დანებება არჩია. მატჩის ასე დამთავრება პირველი შემთხვევაა მსოფლიო პირველობის გათამაშების ამჟამად მოქმედ სისტემაში (მსოფლიო პირველობის ისტორიაში ასეთი რამ ერთხელ მოხდა, როცა მსოფლიო ჩემპიონმა ე. ლასკერმა ვადამდე დათმო მატჩი ხ. კაპაბლანკასთან 1921 წელს).

კორჩნოი — გელერი 5,5:2,5. სსრ კავშირის ჩემპიონი კორჩნოი უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. გელერმა ვერ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი ძალა. იქნებ მხოლოდ ეს არ არის მარცხის მიზეზი? გავიხსენოთ: გელერი ვერ თამაშობს მატჩებს — მას ორჯერ მოუგო სპასკიმ, თითოჯერ—ლარსენმა და კერესმა... როგორც ჩანს, გელერი უფრო სატურნირო მებრძოლია. კორჩნოის ნამდვილად სამატჩო მოთამაშის სტილი აქვს: პრინციპული, თვითმყოფადი, ფსიქოლოგიურად მიზანდასახული და უაღრესად შეუპოვარი.

პეტროსიან — კორჩნოის ნახევარფინალური მატჩი უკიდურესობამდე მძიმე ორთაბრძოლა იქნება.

ფიშერი — ტაიმანოვი 5:0. ეს მატჩი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ფიშერის გამარჯვება არავის ეეჭვება. ამერიკელმა დიდოსტატმა უდიდესი ძალა და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. ტაიმანოვს ვერ უშველა ოპტიმიზმმა, ვერც ფიშერის გამოუცდელობამ მატჩების თამაშში, ვერც „ფიშერის სპეციალისტთა“ დახმარებამ. ძალა აღმართს ხნავსო. ფიშერმა თავზარი დასცა მეტოქეს. მაშინაც კი, როცა II და V პარტიებში ნაღდი ყაიმის შანსი ჰქონდა, ტაიმანოვი თითქმის შოკირებული თამაშობდა. ჩანს, ფიშერის პრეტენზიები ჭადრაკის მეფის ტახტზე მეტად რეალური და სერიოზულია.

ლარსენი—ულმანი 5,5:3,5. ლარსენმა დაამტკიცა თავისი სიძლიერე: 4 პარტია მოიგო, 2 წააგო და 3 ყაიმით დაამთავრა. მაგრამ დანიელმა დიდოსტატმა ვერ დაგვარწმუნა, რომ შემდგომ მატჩში ასეთივე წარმატებით შეძლებს ბრძოლას. ის, რაც ულმანმა ვერ გამოიყენა, ფიშერს არ გამორჩება.

ფიშერისა და ლარსენის ნახევარფინალური მატჩი ბევრ საინტერესოს გვპირდება. რამდენიმე წლის მანძილზე ლარსენი გახლდათ ჭაბუკი ფიშერის ტრადიციული სეკუნდანტი. ორივე მსოფლიო ჩემპიონის სახელის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად მიიჩნევს თავს. ლარსენს სწამს, რომ სძლევს ფიშერს, მით უმეტეს, რომ ბოლო ტურნირში (პალმა დე მალიორკა, 1971 წ.) მოუგო მას. ფიშერს მიაჩნია, რომ მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში ლარსენი როდია მთავარი დაბრკოლება.

ახლა გამარჯვებული დიდოსტატები დაისვენებენ და მომავალი პაექრობისთვის მოემზადებიან. ნახევარფინალური მატჩები 4 ივლისს დაიწყება ერთდროულად ორ სხვადასხვა ქვეყანაში. სახელდობრ სად, ამას ამ დღეებში გადაწყვეტს ფიდე-ს საგანგებო სხდომა. თითოეულ მატჩში, ისევე როგორც მეოთხედფინალურ ორთაბრძოლებში, ათ-ათი პარტია გათამაშდება. გამარჯვებული იქნება ის, ვინც ადრე დააგროვებს 5,5 ქულას. ყაიმის (5:5) შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი 4 პარტია. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მოიგებს. მაგრამ თუ ოთხივე პარტია ყაიმით დასრულდა, მაშინ ფინალისტს კენჭისყრა დაასახელებს.

თ. გიორგაძე.

ფიზკულტურისა და სპორტის მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში

1938 წლის თებერვალში თბილისში ჩატარდა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია სპორტის ქართულ ხალხურ სახეობებში, რომელიც უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავს მიეძღვნა.

მოსმენილი იქნა 5 მოხსენება, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი ორს ჰქონდა მიკუთვნებული. პირველი მოხსენება — „ფიზიკური აღზრდა რუსთაველის ეპოქაში“ — წაიკითხა გ. მერკვილაძემ. მოხსენება მრავალი წლის მუშაობის ნაყოფი იყო და საშუალო საუკუნეების საქართველოს ფიზიკური აღზრდის საშუალებათა სისტემატიზაციის ცდას წარმოადგენდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. მერკვილაძემ ამ საკითხის კვლევა ადრიდანვე დაიწყო. მან ჯერ კიდევ 1926 წელს წაიკითხა მოხსენებები: „ისტორიული ცნობები ფიზიკური აღზრდის შესახებ საქართველოში IV-დან XV საუკუნემდე“, „საშუალო საუკუნეების საქართველოში ფიზიკური აღზრდის სისტემის შესახებ“ და „ფიზიკური აღზრდა რუსთაველის ეპოქაში“. ეს უკანასკნელი მოხსენება გ. მერკვილაძემ 1938 წელს წაიკითხა ფიზკულტურის ისტორიკოსებისა და მეთოდისტების საკავშირო სემინარზე და ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილების თანამშრომლებისთვის ლენინგრადში.

საყურადღებოა, რომ სსრ კავშირში ფიზკულტურის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში (რედაქტორები პროფ. მ. ზელიქსონი და პ. გრაჩოვი) ხაზგასმით იქნა აღნიშნული გ. მერკვილაძის კვლევისა და მოხსენებების შედეგად, რომ „რუსთაველის პერიოდში საქართველოში არსებობდა ფიზიკური აღზრდის ორიგინალური სისტემა, რომელიც უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მისი ყველა თანამედროვე სისტემა“. სამწუხაროდ, ეს განსაზღვრა შემდგომ გამოცემაში აღარ იყო ნახსენები.

მეორე მოხსენება ეკუთვნოდა პროფ. დ. ჯანელიძეს. მან საინტერესო ასპექტში განიხილა „სპორტული სანახაობანი რუსთაველის ეპოქაში“.

საბჭოთა
ფიზკულტურა
№ 1
ივნისი
1927 წ.

ქართული სპორტული ჟურნალის „საბჭოთა ფიზკულტურის“ 1927 წლის ივნისის ნომრის ყდა.

● ●

ამას გარდა, კონფერენციამ მოისმინა ქართულ ჭიდაობაში (ი. თომაშვილი), ლელობურთში (ლ. ჩხაიძე) და ჯირითში (ი. კიზირია და მ. ჭავჭავაძე) შემუშავებული ასპარეზობის წესების პროექტები, მოიწონა და დაამტკიცა ისინი.

1939 წლის 28-30 იანვარს მოწვეული იქნა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეორე, ხოლო 1941 წლის 21-23 აპრილს — მესამე შემაჯამებელი კონფერენციები, სადაც ბევრი საინტერესო საკითხი განიხილეს.

ისევ გრძელდებოდა ინტენსიური შრომა ქართული ხალხური თამაშობების, აგრეთვე, ეროვნული სახეობების რეგლამენტაციისა და აღდგენისთვის (ი. კიზირია, ლ. ჩხაიძე, ი. თომაშვილი, ა. გაფრინდაშვილი), ფართოვდებოდა კვლევა ფიზიკური კულტურის ისტორიის (მ. გორგაძე, გ. მერკვილაძე), ფიზიკური ვარჯიშების ანატომიის, სპორტის ბიოქიმიისა და სპორტული მედიცინის (პროფესორები გ. თვალაძე, დ. მამამთავრიშვილი, ვ. ვარაზი, ვ. ასათიანი, ა. აბულაძე, ვ. კუნჭულია, დოც. ვ. ჯაველიძე, მ. გაბრიჩიძე, გ. ნემსაძე, ი. ბუკია), მთაში მებრძოლის ქვეითი გადასვლისთვის ფიზიკური მომზადების, მისი ორგანიზაციის, ტექნიკის სწავლებისა და ატვისების საკითხების ირგვლივ (დ. მამამთავრიშვილი, ვ. კუზოვლევი, მ. გაბრიჩიძე).

აღსანიშნავია სოფლად ფიზკულტურული მუშაობის (ვ. კუზოვლევი), ჭაბუკ ფეხბურთელებთან (ა. გალპერინი), აგრეთვე, მძლეოსნობაში (ვ. დიაჩკოვი), ქართულ ჭიდაობაში (ი. თომაშვილი) საქმიანობის გამოცდილების ვრცელი კვლევა-განზოგადება, ფიზიკური ვარჯიშების ბიომექანიკის, კერძოდ, თამაშების გრაფიკული ჩაწერის მეთოდების (ლ. ჩხაიძე), ფარიკაობისა და ხელჩართული ბრძოლის ტექნიკისა და ტაქტიკის, მსაჯობის საკითხების შესწავლა (ლ. გოლოვნია, ვ. კუზოვლევი).

1939 წელს დაისტამბა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებულის პირველი ტომი.

უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების ცენტრად იქცა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, სადაც აღნიშნულ წლებში (1938-1940 წ.წ.), ჯერ კიდევ არასათანადო სამეცნიერო ბაზის გამო, ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო მეთოდური და გამოყენებითი ხასიათის საკითხების დამუშავებაზე, სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნაზე (დ. ჩიკვაიძე, ვ. სამსონაძე, ა. წერეთელი, გ. მეუნარგია, ლ. გოლოვნია, ლ. ფალავანდიშვილი, შ. მუსასტიკოვი, შ. კილაძე, ლ. გიორგაძე და სხვ.).

ფიზკულტურის ქართველი სპეციალისტებისა და სასკოლო დარგში მომუშავეებისთვის მნიშვნელოვანი იყო მ. პატარიძისა და თ. ნიკოლაძის მიერ თარგმნილი წიგნის — „ფიზკულტურული მუშაობა სკოლაში“ — გამოცემა (პროფ. პეტროვსკის რედაქციით). გამოიცა სახელმძღვანელო ქართულ ჭიდაობაში (ი. თომაშვილი) და კაპიტალური ნაშრომი მძლეოსნობაში რუსულ ენაზე (ი. სერგეევი).

1921-1940 წლებისთვის დამახასიათებელი იყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებში სათანადო ავტორიტეტის შექმნის აუცილებლობა, რისთვისაც სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მეცნიერების ბევრ საკითხს, სპორტის პრაქტიკული სწავლების საქმეს თავდადებულად და უანგარო სიყვარულით ემსახურებოდნენ სხვა დარგების ცნობილი მეცნიერები და სწავლულები: ნიკოლაძეების სახელოვანი ოჯახის წარმომადგენელნი — გიორგი, რუსუდანი და თამარი, ი. ბერიტაშვილი, ა. ნათიშვილი, ა. თვალჭრელიძე, ნ. კეცხოველი, რ. ნათაძე, ა. დიდებულიძე, შ. ამირანაშვილი, ვ. ასათიანი, ა. ცაგარელი, გ. მღებრიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, გ. დიდებულიძე, ვ. ვარაზი, ვ. ხემენსკაია, ვ. კუნჭულია, დ. მამამთავრიშვილი, ლ. მარუაშვილი, დ. ჯანელიძე, ნ. გურგენიძე, ა. ხმალაძე, ა. აბულაძე, გ. თვალაძე, ლ. ჩხაიძე, ფ. ხუნდაძე, ნ. თარიშვილი, გ. ბაქრაძე, ექიმები მ. მაჩაბელი, ს. ალანიშვილი, გ. ნებიერიძე, ეკონომისტი ვ. ციციშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მ. პატარიძე, გ. გიორგიძე, ს. გოგლიჩიძე, ი. ჭყონია და სხვ.

სპორტული წვრთნის საკითხები

ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის შექმნასთან ერთად ყალიბდებოდა მისი ერთ-ერთი ფორმა — სპორტული წვრთნა. იგი იქცა არა მარტო სპორტული წარმატების მიღწევის საშუალებად, არამედ საბჭოთა ახალგაზრდობის ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების, მისი ჯანმრთელობის დონის გაზრდისა და კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდის გზად.

დიდი დრო დასჭირდა წვრთნის მეცნიერული და ეფექტური სისტემის დამუშავებას, რომლის დადგენაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპორტული წვრთნის მეცნიერებამ.

თავის დროზე არსებობდა აზრი, რომელიც უარყოფდა სპორტის მეცნიერებას. ასეთი შეხედულება არა მარტო ამახინჯებდა სპორტის ისტორიას, არამედ დიდ ზიანიც მოჰქონდა სამეცნიერო კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვისთვის.

სპორტული წვრთნის საბჭოური სისტემის განვითარებაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი, რომლებიც შესაძლებელია ასე დანაწილდეს: პირველი — 1920-1930, მეორე — 1931-1940, მესამე — 1945-1950 წლები, და შემდეგი — 1960 წლიდან დღემდე (ეტაპების მიხედვით აღნიშნული ანალოგიური დათარიღება აქვთ პროფ. ნ. ოზოლინს და პროფ. ლ. მატვეევს).

20-ანი წლები ხასიათდება იმით, რომ თეორიული წინაპირობები, რომლებზეც შესაძლებელი გახდებოდა სპორტის ახალი მეცნიერების შექმნა, მეტად სხვადასხვა ღირსებისა და, ამასთან, დამუშავების პირველდაწყებით ფაზაში იყო. სპორტის თეორიის დონე ერთგვარად ჩამორჩებოდა მეცნიერული ცოდნის მომიჯნავე დარგებს, თუ არაფერს ვიტყვით მის წამყვან მიმართულებებზე.

1925 წელს „ჭომარდული ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული ბროშურა „ხტომის“ ყდა.

● ●

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საკითხებზე. ამ პერიოდში საქართველოში გამოქვეყნებული შრომები უმეტესად ეხებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობის ტექნიკის აღწერილობას და შინაარსობრივ განმარტებას. ბევრი სპეციალისტი სპორტის მეცნიერების დონის ამაღლების მიზნით მიმართავდა განვითარებულ მეცნიერებებს, რადგან თვით სპორტის თეორიაში მათ ამისთვის საკმარისი საფუძველი არ გააჩნდათ. ამასთან დაკავშირებით ამ პერიოდის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებისთვის დამახასიათებელია ფართო ექსტრაპოლაციები ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ჰიგიენის, პედაგოგიკისა და მეცნიერული ცოდნის სხვა დარგებიდან.

ამ შრომების მნიშვნელობა განისაზღვრებოდა პირველ ყოვლისა იმით, რომ აქ მოცემული იყო პირველი ცდები სპორტის კვლევის საკითხებში არსებული უკმარისობის შევსებისა. ეს იყო ცდა, რომ დაეახლოებინათ მისი თეორია შედარებით განვითარებული მეცნიერებებისთვის (გ. ევნატაშვილი, გ. მერკვილაძე, ს. ალანიშვილი, გ. მღებრიშვილი, ლ. გოლოვნია, გ. ნებიერიძე, ვ. კუნჭულია, ა. აკერმანი, ა. ფიოდოროვი, ი. სერგეევი და სხვ.). ამავე დროს, მოცემული იქნა ბევრი საჭირო რეკომენდაცია სპორტის თეორიულ და, რაც მთავარია, მის პრაქტიკულ ნაწილში. ეს კი უმნიშვნელოვანესი იყო ამ პერიოდისთვის.

ამ ნამუშევრების ღირსებას ზოგადად ის შეადგენდა, რომ სპორტული წვრთნის ბევრ საკითხზე თავდაპირველი სახით ჩამოყალიბდა ახალი შეხედულებები, განზოგადებული იქნა მოწინავე აზრი წვრთნის შინაარსის, მისი აგების ფორმების შესახებ და ა. შ.

დიდად დასაფასებელია იმ მწვრთნელების, მასწავლებლებისა და სხვა დარგების წარმომადგენელთა როლი, რომლებიც პრაქტიკულად და თეორიულად წყვეტდნენ სპორტული წვრთნის საკითხებს, ამუშავებდნენ ახალ საშუალებებსა და მეთოდებს, შემოქმედებითად იყენებდნენ დაგროვილ გამოცდილებას.

ჩვენს რესპუბლიკაში 1921-1940 წლებში სპორტული წვრთნის საფუძვლებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ასეთ მუშაობას ეწეოდნენ: ტანვარჯიშში — გ. და თ. ნიკოლაძეები, გ. ევნატაშვილი, გ. მერკვილაძე, დ. ჯავრიშვილი, გ. ბერელაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ა. ბაქრაძე, ი. ვახეკი, ნ. მეიფარიანი, მ. გორგაძე, მ. პატარიძე, მ. და ბ. დიაჩკოვები, ა. მელნიკოვი; მძლეოსნობაში — გ. გიორგიძე, მ., ბ. და ვ. დიაჩკოვები, მ. პატარიძე, ი. სერგეევი, ვ. შერშოვი, ნ. ამბოკაძე, გ. საყვარელიძე, გ. ნებიერიძე, ა. ტარასევიჩი; სპორტულ თამაშებში — დ. მდივანი, ა. იოსავა, ნ. გრომოვი, ა. გალპერინი, ლ. ჩხაიძე, ვ. კუზოვლევი (ფეხბურთი), გ. საყვარელიძე, ა. ჭელიძე (კალათბურთი), ვ. ივანოვი, ვ. პროკოფიევი, ა. იოსავა, ა. კუზმინი (ხელბურთი), გ. გიორგიძე, გ. ლორთქიფანიძე (ჩოგბურთი); ალპინიზმში, სათხილამურო სპორტსა და ტურიზმში — გ. ნიკოლაძე, ს. ასლანიშვილი, გ. გიორგიძე, ა. ჯაფარიძე, ა. გვალია, შ. ამირანაშვილი, ლ. მარუაშვილი, ვ. მიტროფანოვი, ა. პრუსაკი, ა. ამნიაშვილი, მ. ბეჟანიშვილი, დ. მამამთავრიშვილი, ვ. კუზოვლევი; ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობასა და კრივში — გ. მერკვილაძე, პ. მარღანიძე, ა. კულებაკინი, ა. კრონე, გ. ჩიკვაიძე, ვ. დალაქიშვილი, ი. თომაშვილი, დ. ნებიერიძე, ი. ბრაუნი, კ. ზაუტაშვილი, ი. ყანჩელი; ფარიკაობასა და ხელჩართულ ბრძოლაში — ლ. გოლოვნია, ვ. კუზოვლევი; სასროლო და საცხენოსნო სპორტში — გ. ბერელაშვილი, ს. ბუტურლინი, ი. ენიკოლოფოვი, ფ. ვაჩნაძე, ი. კიზირია, მ. ჭავჭავაძე, გ. თავაძე, ნ. დმიტრიევი, ნ. ლევიცკი; საწყლოსნო სპორტის სახეობებში — ვ. ხეჩინაშვილი, ვ. კუნჭულია; ჭადრაკში — მ. საყვარელიძე, ა. ფალავანდიშვილი, ა. ებრალიძე.

აღნიშნული პიროვნებების შრომა და ღვაწლი მით უფრო დასაფასებელია, რომ ბევრ შემთხვევაში გზას უკაფავდა დღევანდელ მიღწევებს ძნელ და რთულ პირობებში. მათი ნაყოფიერი შრომა დიდი გამოცდილების, განათლების საფუძველზე იყო აღმოცენებული, რასაც საქართველოში სპორტის განვითარების და სრულყოფის ჭეშმარიტად გულწრფელი სურვილი დიდად უწყობდა ხელს.

როგორც ეს აღნიშნული იყო, სპორტის თეორიული საფუძვლების განვითარება ხდებოდა უპირატესად სახეობათა გამოყენებისა და სპორტული მოქმედების მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების დამუშავების გზით. ეს ნაკარნახევი იყო სპორტული პრაქტიკის მოთხოვნილებებით და ამასთანავე ემსახურებოდა წვრთნის ზოგადი კონცეფციის კონკრეტიზაციის ამოცანას. შემთხვევითი არ არის, რომ ფიზიკური აღზრდისა და სამედიცინო დარგის ცნობილი წარმომადგენლები (გ. მერკვილაძე, გ. ჩიკვაიძე, მ. გორგაძე, გ. ბერელაშვილი, ლ. გოლოვნია, ვ. კუზოვლევი, ა. ნათიშვილი, ვ. კუნჭულია, გ. მღებრიშვილი, დ. მამამთავრიშვილი, ვ. ასათიანი, ა. აბულაძე, ვ. ჯაველიძე და სხვ.) ამ წლებში გამოდიან, როგორც მთელი რიგი შრომებისა თუ გამოკვლევების ავტორები და თანაავტორები.

გაიზარდა (განსაკუთრებით 1936-40 წლებში) ნაშრომთა და გამოკვლევათა რიცხვი პოპულარულ სახეობებში — მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, სპორტულ თამაშებში, კრივში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, მთამსვლელობასა და ტურიზმში; კვლავინდებურად ინტენსიურად გრძელდებოდა კვლევა სპორტის ქართული ეროვნული სახეობების საკითხებზე.

ასევე ინტენსიურად მიმდინარეობდა კვლევა სპორტის ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ფსიქოლოგიის, სამედიცინო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის საკითხებში.

დაგროვდა საკმაოდ ვრცელი მასალა სპორტის ზოგადი თეორიის განვითარებისთვის, საჭირო გახდა განცალკევებული, ხანდახან ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებების ლოგიკური ჩამოყალიბება და ერთ სისტემაში მოყვანა, რომელსაც სპორტული მეცნიერების კერძო საკითხების დამუშავება იძლეოდა.

განზოგადებას თხოულობდა, აგრეთვე, სპორტული პრაქტიკის ახალი მოვლენები. 30-ანი წლების დასაწყისში შემოღებული მშთ კომპლექსი და შემდგომ კი საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია, რომლებიც შეადგენდნენ ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის პროგრამულ-ნორმატიულ საფუძველს.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე ნაყოფიერად იღვწოდნენ გ. მერკვილაძე, მ. გორგაძე, ბ. ერგარდტი, გ. ევნატაშვილი, გ. ჩიკვაიძე, ა. იოსავა, შ. ბოსტაშვილი, ს. კვინიხიძე, ფიზიკური აღზრდის და მეთოდიკის ღრმა მცოდნე, სპორტის დიდი ენთუზიასტი ვ. კუზოვლევი, რომლებთაც 1938 წლიდან მხარში ამოუდგნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები (დ. ჩიკვაიძე, ლ. გოლოვნია, ვ. სამსონაძე, ა. წერეთელი, ა. რატია და სხვ.).

შემოქმედებითი აქტივობის ზრდა, სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების შექმნა ის საფუძველი იყო, რომელზეც შემდგომი განვითარება და სრულყოფა ჰპოვა სპორტული მეცნიერების ბევრმა საკითხმა.

მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი, რომელმაც სამშობლოს დასაცავად ხალხის მთელი შესაძლებლობის გამოვლენა მოითხოვა. გარდაიქმნა ყველა სახის შრომა: ყველაფერი ემსახურებოდა მხოლოდ ერთ უდიდეს მიზანს — მტერზე გამარჯვებას.

გარდაიქმნა სპორტულ ორგანიზაციათა, სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების მუშაობაც, რომლებიც უდიდეს დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა საკითხის მოწესრიგება-მოგვარებაში სამხედრო დაწესებულებებს, ფრონტზე მიმავალ ნაწილებსა და მებრძოლებს, ამზადებდნენ ხელჩართული ბრძოლის, სამთოსათხილამურო და მთამსვლელობის ინსტრუქტორთა კვალიფიციურ კადრებს.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 93, 95.

ყველა სახეობაში

აგერ უკვე მეხუთე წელია ტრადიციულად ტარდება ქუთაისისა და საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავიამოდელისტთა ამხანაგური შეჯიბრებები. მათი მორიგი ტურნირი ამას წინათ ქუთაისში მოეწყო. შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და რესპუბლიკის კომპარტიის დამყარების 50 წლისთავს მიეძღვნა.

გუნდური პირველობა საჩხერელმა ავიამოდელისტებმა დაისაკუთრეს. მასპინძლები II ადგილზე არიან. სტუმრებმა გაიმარჯვეს ოთხივე სახეობაში: რეზინისძრავიანი მოდელებით რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორმა კ. შუბითიძემ იმარჯვა (822 ქულა), პლანერის მოდელებით — თ. იაკობაშვილმა (745 ქულა), ტაიმერული მოდელებით — ვ. ყიფიანმა (250 ქულა), ხოლო „საჰაერო ბრძოლაში“ ყველა მეტოქე დაამარცხა საჩხერელთა გუნდის ეკიპაჟმა გ. ცერცვაძისა (პილოტი) და თ. გაბრიჭიძის შემადგენლობით.

ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ზ. კუხიანიძემ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა გამარჯვებული გუნდი. პირად პირველობაში უძლიერესმა სპორტსმენებმა ავიასამოდელო ძრავები და ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე სტრიქონით

ТБИЛИСИ

თბილისი

პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფრენბურთელმა ვაჟებმა ოთხი ამხანაგური შეხვედრა გამართეს კრასნოდარში: დაამარცხეს ადგილობრივი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის, სამშენებლო-სამონტაჟო ტექნიკუმის, პედაგოგიური ინსტიტუტის, „სპარტაკის" გუნდები.

ხ. ყულიჯანოვი.

სოხუმი

აქ დამთავრდა აფხაზეთის მოსწავლეთა პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, ტყვარჩელისა და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების გუნდები. წინასწარი შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს გაგრისა და გალის რაიონების ნორჩებმა. მათი ფინალური შეხვედრა საინტერესოდ ჩატარდა და გალელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. აღსანიშნავია, რომ მათ პირველად მოიპოვეს აფხაზეთის ჩემპიონობა. გუნდს წვრთნის ნ. კორსანტია.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ზუგდიდი

ჩატარდა წვევამდელთა IV რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში „მზად ვარ სამშობლოს დაცვისთვის" კომპლექსის 7 სახეობა შედიოდა. პირად პირველობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ლ. ქვარაია (ორსანტია). II და III ადგილები გაიყვეს პ. მაქაცარიამ და ჩ. ქირიამ (ოქტომბერი). გუნდური I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს ოქტომბრელმა წვევამდელებმა. II ადგილი დაიკავეს ჭკადუაშის, III — ორსანტიის სპორტსმენებმა.

• • •

„კოლმეურნის" რაიონული საბჭოს ხელბურთელთა პირველობაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ყველას აჯობეს ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

კ. ფიფია.

აბაშა

დამთავრდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" თასის რაიონული გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სოფ. ტყვირის გუნდები. გაიმარჯვეს აბაშელებმა — 2:1.

ჯ. ქოიავა.

თიანეთი

სიმონიანთხევის საშუალო სკოლის რამდენიმე მოსწავლემ მოაწყო შეჯიბრება 20 კილომეტრზე რბენაში. ასპარეზობა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. ყველას აჯობეს ს. ბიჩინაშვილმა და ტ. ხელხელაურმა. მათ დისტანცია 1 საათსა და 15 წუთში გაირბინეს.

თინათინ არდაზიშვილი,
სიმონიანთხევის საშუალო სკოლის მოსწავლე.

მაიაკოვსკი

რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა ორ ეტაპად მოეწყო. ფინალში 8 საშუალო სკოლის 40 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონობა მოიპოვა ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილი ხვდათ ზეგნის სკოლის, III—დიმის 1-ლი საშუალო სკოლის მოჭადრაკეებს. დაფებზე I ადგილები დაისაკუთრეს: ტ. გრძელიძემ (წითელხევის საშუალო სკოლა), გ. ცაავამ (ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა), თ. სირბილაძემ (როხის საშუალო სკოლა), ე. და პ. გოგსაძეებმა (ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა).

გ. მჟავანაძე.

ქალაქის სტრიქონები

ახალი საჩუქარი

ქუთაისელმა სპორტსმენებმა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის ორსართულიანი დარბაზი. დიდი და პატარა დარბაზების გარდა კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზას აქვს გასახდელები, საშხაპეები, მეთოდკაბინეტი, სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები.

დიდ დარბაზში (36X18 მ) შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და სხვა სახეობებში. პატარა დარბაზი მინითამაშებისთვისაა განკუთვნილი.

ცხადია, ორივე დარბაზში საწვრთნელი მეცადინეობები გაჩაღდება.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

• • •

სურათზე: ხელბურთელი გოგონები ვარჯიშობენ ახალ დარბაზში.

ო. ბერეჩეკიძის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკა, სტატისტიკა...

ციფრები და ფაქტები

საკავშირო ჩემპიონატში მოკლევადიანი შესვენების პერიოდი მიიწურა: არ თამაშობდნენ არა მარტო ის კლუბები, რომლებმაც ნაკრებს თავიანთი მოთამაშეები მისცეს, არამედ სხვებიც. 3 ივნისამდე კალენდარული მატჩები არ ჩატარდება. სამაგიეროდ, ამ ხნის მანძილზე ვნახეთ ლ. იაშინის გამოსათხოვარი მატჩი (27 მაისს), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაში ესპანელებთან (30 მაისს), სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების გამოსვლა ავსტრიის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

ფეხბურთის მოყვარულთ ვთავაზობთ მიმდინარე ჩემპიონატის ზოგიერთ საინტერესო ციფრს და სტატისტიკურ მონაცემს.

⊙ **განვლილ** მატჩებში სულ დაინიშნა 9 პენალტი. როგორც მუდამ, პენალტების დიდ რაოდენობას მასპინძელთა სასარგებლოდ ნიშნავენ. ახლაც ასე მოხდა: 11-მეტრიანი შვიდჯერ დაინიშნა სტუმრების კარში და მხოლოდ ორჯერ — მასპინძლებისაში. საინტერესოა, რომ ორივე პენალტი ჩამოსული გუნდის სასარგებლოდ მოსკოველმა არბიტრმა ა. ტაბაკოვმა დანიშნა ერევანში, როცა „არარატი" ეთამაშებოდა „კარპატის". კულჩიცკიმ ზუსტად დაარტყა კარში, შულიატიცკიმ კი ძელს მოახვედრა ბურთი. ასევე ძელს „დაუმიზნა" ბურთი მოსკოვის „სპარტაკის" მცველმა ლოგოფეტმა მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში. დანარჩენი 11-მეტრიანები რეალიზებულია.

⊙ **ჩემპიონატის** კალენდარულ მატჩებში მინდვრიდან გაძევებულია სულ 1 ფეხბურთელი. წესრიგის ეს ერთადერთი დამრღვევი გახლავთ „ფახტაქორის" თავდამსხმელი ლეონოვი (როსტოვში მატჩის დროს).

⊙ **„ჰეტ-ტრიკი"** (3 და მეტი ბურთი ერთ მატჩში) არ შეუსრულებია არც ერთ მოთამაშეს. 2-2 ბურთი გაიტანეს სემიონოვმა („ზარია"), მალოფეევმა (მინსკის „დინამო"), ბანიშევსკიმ („ნევთჩი"), მარქაროვმა („არარატი"), დოლმატოვმა („ყაირათი"), გრეშჩაკმა („კარპატი").

⊙ **სამაგიეროდ**, საკმარისზე მეტი იყო „ავტოგოლი": საკუთარ კარში ბურთები გაიტანეს ასილბაევმა („ყაირათი"), დანილჩუკმა („კარპატი"), შესტერნიოვმა, ისტომინმა და შმუცმა (ცსკა). ყველაზე კურიოზული, რა თქმა უნდა, იყო ცსკა-ს მეკარე შმუცის „ავტოგოლი". საერთოდ, შეიძლება ასეთი საინტერესო შედარების მოყვანა: მოსკოვის ტორპედოელებმა წლევანდელ ჩემპიონატში მეტოქეთა კარში სულ 2 ბურთი გაიტანეს, ცსკა-მ კი საკუთარში — 3.

⊙ **ყველაზე** უკეთ თავიანთ კარს იცავენ კიეველები. მათ სულ 1 ბურთი აქვთ გაშვებული. ეს ბურთი რუდაკოვის კარში გაიტანა ბაქოელმა შევჩენკომ 8 აპრილს. ყველაზე სუსტია „ფახტაქორის" დაცვა და მეკარე — 14 გაშვებული გოლი. ყველაზე შედეგიანია ბაქოელთა გუნდი, რომლის ანგარიშზეა 14 ბურთი. ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილზეა მოსკოვის „ტორპედო".

⊙ **არც ერთ** მატჩში არ დამარცხებულან კიევისა და მოსკოვის დინამოელები, ყველაზე მეტი შეხვედრა კი (6) „შახტიორმა" წააგო, ამასთან, დონეცკელები აგებენ მხოლოდ მინიმალური, „ტრადიციული" ანგარიშით — 0:1.

⊙ **ყველაზე** მეტი თამაში მოიგეს კიეველებმა — 6. ყველაზე მეტი ფრე გააკეთეს მოსკოვის „დინამომ" და „ტორპედომ" — 6-6. ერთი ფრეც არა აქვს „შახტიორს": ეს გუნდი ან აგებს, ან იგებს.

⊙ **სტუმრად** ჩატარებულ მატჩებში თავი გამოიჩინეს კიევის „დინამომ" და „არარატმა", რომლებმაც 3-3 გამარჯვება მოიპოვეს მეტოქეთა მინდვრებზე. სხვის მინდორზე არც ერთი მატჩი არ მოუგიათ მოსკოვის „სპარტაკსა" და „ტორპედოს", „ზარიას", როსტოველებს, მინსკის „დინამოს", „ნევთჩის", „ზენიტს", „კარპატის" და „შახტიორს". ამ უკანასკნელს საერთოდ არ აუღია ქულა სტუმრად.

⊙ **თბილისის** „დინამომ" ყველა მარცხი საკუთარ მინდორზე იწვნია და 5 შეხვედრაში აქ მხოლოდ 4 ქულა აიღო. სტუმრად ჩვენმა გუნდმა 4 თამაში ჩაატარა, 2 მოიგო და 2 ფრედ დაამთავრა (6 ქულა 10-დან).

⊙ **ყველაზე** მეტი ბურთი გატანილია „ნევთჩისა" და „სპარტაკის" მატჩში — 8 (5:3).

⊙ 1:0 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ყველაზე მეტი—24 მატჩი. 0:0 და 1:1 — ასე დამთავრდა 14-14 შეხვედრა. გასაკვირია, რომ ისეთი „პოპულარული" ანგარიში, როგორიცაა 2:1, აღნიშნულია სულ სამჯერ.

⊙ **ყველაზე** ნაკლებშედეგიანმა გუნდმა — მოსკოვის „ტორპედომ" გოლის გაუტანლად მინდორი შვიდჯერ დატოვა, ამასთან, ხუთჯერ ითამაშა ისე, რომ მატჩები დაამთავრა 0:0-ზე. სამაგიეროდ, მხოლოდ ერთხელ წავიდნენ მინდვრიდან ბაქოელი ფეხბურთელები ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ, ორ-ორჯერ — კიევისა და მინსკის დინამოელები და „არარატი". ექვსჯერ მოეცარა ხელი „შახტიორს".

⊙ **საინტერესოა**, რომ დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის სხვაობით) არც ერთი თამაში არ მოუგიათ შარშანდელი ჩემპიონატის პირველ ექვსეულში მყოფ გუნდებს. საერთოდ, წლეულს ასეთ ანგარიშს ერთობ იშვიათად ვხვდებით: „არარატს" 2 მატჩი აქვს მოგებული დიდი ანგარიშით, კიევის „დინამოს", „ნევთჩის", „კარპატისა" და მინსკის „დინამოს" — მხოლოდ თითო. თბილისის „დინამოს" ერთ მატჩში 2 ბურთი ჯერ არ გაუტანია.

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო სნაიპერია მინსკის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი მალოფეევი, რომელმაც 9 მატჩში გაიტანა 6 ბურთი, მაგრამ ყოველ გუნდს ჰყავს თავისი ბომბარდირი. მოგვყავს მათი სია: მალოფეევი — 6, ბანიშევსკი, შევჩენკო („ნევთჩი"), — 5-5, დოროფეევი (ცსკა), მარქაროვი („არარატი") — 4-4, გავაშელი („დინამო", თბილისი), ეგოროვიჩი („სპარტაკი"), კულჩიცკი („კარპატი"), დოლმატოვი („ყაირათი") — 3-3, სემიონოვი („ზარია"), ჩურკინი (სკა), იარემჩენკო („შახტიორი"), ისაკოვი („ფახტაქორი"), გონჩაროვი („ზენიტი"), პუზაჩი, მედვიდი, ხმელნიცკი, კოლოტოვი („დინამო", კიევი) —2-2. მოსკოვის „დინამოსა" და „ტორპედოში" თითო ბურთზე მეტი არავის გაუტანია.

• • •

„ლელოს" ფეხბურთის განყოფილება წინადადებით მიმართავს მკითხველებს, რომლებიც სტატისტიკურ გამოთვლებს აწარმოებენ, გამოგზავნონ რედაქციაში საინტერესო ციფრები, დასკვნები, მონაცემები. ჩვენ მათ გამოვაქვეყნებთ.

რამდენიმე სტრიქონით

კასპი

გაიმართა რაიონის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდური I ადგილი დაიკავა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" ნაკრებმა. პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა კონტორა „კასპიგაზის" მუშამ გ. ჯალალმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

ადიგენი

მოსწავლეთა VI რაიონული სპარტაკიადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ადიგენის საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილზეა სოფელ უდის საშუალო სკოლის ნაკრები, III — დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლების გუნდი.

ნ. მამულაშვილი,
სპორტსკოლის დირექტორი.

ონი

ჩატარდა რაიონის პირველობა პიონერთა მძლეოსნურ ოთხჭიდში (სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, 60 მეტრზე რბენა და ბურთის ტყორცნა). ორივე ეტაპის შეჯიბრებებში 700-მდე ბავშვი მონაწილეობდა. გუნდური I ადგილი 1298 ქულით დაიკავა ღარის 8-წლიანი სკოლის გუნდმა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ზ. ორდენიძე). 1186 ქულით II ადგილზეა ონის მე-2 საშუალო სკოლა, III — ონისავე 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივი — 1174.

ლ. ბერიშვილი.

ზესტაფონი

ამას წინათ კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, რომელიც ღიაა ყოველდღიურად დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე. კლუბში განზრახულია ჩატარდეს ტურნირები, ლექციები, მოხსენებები და სხვ.

• • •

ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის სპორტულ მოედანზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულისა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშის საშუალო სკოლის გუნდები. გაიმარჯვეს ლაშელებმა.

პ. ნეზიერიძე.

ხაშური

სურამის მინის ტარის ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა ბაკურიანში, საქარხნო პირველობები ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა ს. გურეშიძემ, მოშაშეთა შეჯიბრებაში — მ. მუმლაძემ, მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში — მ. ჭყოიძემ.

• • •

სოფელ ტეზრის სასოფლო კლუბში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა მოშაშეთა ტურნირი. გაიმარჯვა ი. აბრამიშვილმა.

• • •

მაგიდის ჩოგბურთში ხაშურის რაიონის მოსწავლეთა ჩემპიონატში გოგონათა შორის 1 ადგილი დაიკავა რ. გოგიტიძემ (სურამის 1-ლი სკოლა), მეორე იყო ნ. ტურაშვილი, მესამე — მ. ჯანაშვილი (სურამის მე-2 სკოლა). ჭაბუკებში ჩემპიონი გახდა მ. სადაღოვი (სურამის მე-2 სკოლა). II ადგილი ხვდა თ. ჩაჩხიანს (ხაშურის რკინიგზის მე-4 სკოლა), III—ნ. ჯანაშვილს (სურამის მე-2 სკოლა).

• • •

ქინძათის სასოფლო კლუბში მოეწყო ტურნირი შაშში, რომელშიც საბჭოთა მეურნეობის 11 მუშა მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა გ. ქიტიაშვილმა.

ზ. მოსეშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარიკაო ბილიკებზე

წინ მსოფლიო ჩემპიონატია

ბუქარესტი, 31 მაისი. ასეთი რამ სპორტში იშვიათად ხდება: საბჭოთა მოფარიკავეებმა სოციალისტური ქვეყნების ნაკრები გუნდების აქ ჩატარებულ ტურნირში დაისაკუთრეს ყველა (8) პირველი პრიზი.

გაიმარჯვა ოთხმა საბჭოთა გუნდმა. ასპარეზობის ბოლო დღეს, 30 მაისს, წარმატება მოიპოვეს რაპირისტ ქალთა და დაშნით მოფარიკავეთა გუნდებმა. პირად შეჯიბრებაში ესპადრონისტთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. სიდიაკთან (მინსკი) ერთად თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა სპორტსმენებმაც. მინსკელმა ლიუდმილა რუსაკმა ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი გ. გოროხოვა. I ადგილებზე გავიდნენ ლვოველი რაპირისტი ვ. სტანკოვიჩი და კიეველი დაშნით მოფარიკავე ს. პარამონოვი.

სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა ტურნირი ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ქალაქში. იგი მუდამ ძალიან ძლიერ შემადგენლობას იკრებს და, შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის მონაწილეებისთვის მთავარი რეპეტიციაა მსოფლიო ჩემპიონატის წინ. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ივლისის დამდეგს ჩატარდება ავსტრიის დედაქალაქში. ბუქარესტში წარმატებით გამოდიოდნენ 7 ქვეყნის — ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მოფარიკავეები.

* * *

მონაკო, 31 მაისი. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის აქ გამართულმა 32-ე კონგრესმა ფედერაციის ყველაზე საპატიო პრიზი მიაკუთვნა საბჭოთა მოფარიკავეს, მინსკელ ა. ნიკანჩიკოვს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნიკანჩიკოვი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია პირად ჩათვლაში, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია გუნდის შემადგენლობაში, მუდამ კორექტულად ფარიკაობს და პატივისცემით ეკიდება ნებისმიერ მეტოქეს.

კონგრესმა 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად შვეციის ქალაქი გეტებორგი აირჩია.

ახალი ამბავი — 71

● **ვილნიუსი, 31 მაისი.** საერთაშორისო ველორბოლის ორი მთავარი პრიზიდან ერთს ახალგაზრდა სპორტსმენი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ნ. ხიტნიკი დაეპატრონა, რომელმაც ამ ქალაქის ქუჩებში მდებარე 85-კილომეტრიანი მანძილი 2 საათში, 15 წუთსა და 16 წამში დაფარა. გუნდური პირველობა 39 ქულით მოიგეს „დინამოს“ წარმომადგენლებმა. მათ დუბლი გააკეთეს: დაისაკუთრეს, აგრეთვე, ლიტვის გაზეთ „კომ'იაუნიმო ტიესას“ პრიზი. დინამოელებმა სამ ეტაპად დაყოფილი 325-კილომეტრიანი ტრასა 21 საათში, 37 წუთსა და 5 წამში გაიარეს.

● **რიგა, 31 მაისი.** საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის აქ გამართულ პირველ ეტაპს ბიკერნიეკსის ტრასაზე ბალტიისპირეთისთვის უჩვეულოდ ცხელი ამინდი დაესწრო — თერმომეტრი ჩრდილში 33 გრადუსს უჩვენებდა. ცალკეულ კლასებში I ადგილები დაიკავეს და ამდენად საჩემპიონო ტიტულებზე პრეტენზიები განაცხადეს (წინ კიდევ სამი ეტაპია) მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა რ. რიაქსკაიამ (125 კბ სმ), მოსკოველებმა ა. ოლეინიკოვმა (125 კბ სმ „ბ“), ბ. იუდინმა (125 კბ სმ „ა“ და 175 კბ სმ), მ. რეინუპმა (350 კბ სმ „ბ“), ესტონელებმა ლ. ტეესალუმ (350 კბ სმ „ა“), ვ. პელმმა და კ. ნეიხაუსმა (350 კბ სმ და 650 კბ სმ ეტლიანი მოტოციკლებით).

● **ვარშავა, 31 მაისი.** აქ გამართულ შეჯიბრებაში ცნობილი მძლეოსნები ა. ბადენსკი და ზ. ნოვოში იძულებული გახდნენ ახალგაზრდა მორბენალს ზ. კორიცკის „დანებებოდნენ“: ამ უკანასკნელმა ჯერ 200-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა — 21,2 (ფინიშთან ასეთივე დროით მეორე იყო ბადენსკი, ხოლო მესამე — ნოვოში), მერე კი 400-მეტრიან დისტანციაზე რბენაც მოიგო — 46,2 (მეორე იყო ბადენსკი — 46,3). მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. შევინსკამ ყველა ჩამოიტოვა 100 (11,6) და 200 მეტრზე (23,4) რბენაში.

● **ზაბჟე, 31 მაისი.** პოლონეთის რეკორდსმენმა კ. მარანდამ აქ 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში 8.37.2 აჩვენა. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ლ. გოლემბიოვსკიმ — 216 სმ.

● **ბრატისლავა,** *31 მაისი. სიმაღლეზე ხტომაში ევროპის „ზამთრის“ ჩემპიონი ი. მაიორი, რომელიც ფოსბიურის ყაიდით ხტება, გამარჯვებული გამოვიდა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — 214 სმ. მისმა თანამემამულემ შ. ბოროშმა 82,26 მეტრზე ტყორცნა შუბი. ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს ტურნირის მასპინძლებმა: ლ. ნადენიჩეკმა 110 მეტრზე თარჯრბენში 13,8 წამი აჩვენა, ხოლო ევროპის ექს-რეკორდსმენმა ლ. დანეკმა 64,82 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ეს მეორე შედეგია წლეულს ევროპაში. ქალთა შორის თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რეზკოვა-კიუბნეროვამ, რომელიც 179 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.*

● **სოფია, 31 მაისი.** გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის“ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბულგარეთის ახალი რეკორდი დაამყარა ი. ხრისტოვამ, რომელმაც 18,08 მეტრზე ჰკრა ბირთვი. შუბის მტყორცნელ ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა ავსტრიელ ე. იანკოს — 55.64 მ. II ადგილი დაიკავა რიგელმა მ. საულიტემ — 52,68. 23 წლის უნგრელმა ათლეტმა ი. ენჩიმ ურო 70.48 მეტრზე გაგზავნა. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებულმა ავსტრიელმა ი. გუზენბაუერმა წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი გაიმეორა — 182 სმ. კუბელმა ხ. მორალესმა მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი — 14,0. შეჯიბრების მეორე დღეს სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა — 208 სმ. 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა 20 წლის მინსკელმა ვ. ლოვეცკიმ — 21,2. კარგად იასპარეზა გდრ-ის წარმომადგენელმა კარინ ილგენმა: მისი ნატყორცნი ბადრო 60,10 მეტრზე გაფრინდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ავსტრიის, ალჟირის, გდრ-ის, უნგრეთის, კუბის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთის, სსრ კავშირის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის 200-ზე მეტი მძლეოსანი.

● **საპორო,** 31 მაისი. **1972 წლის ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობისთვის განაცხადები 11 ქვეყნის ჰოკეის ფედერაციებმა წარმოადგინეს. ვინაიდან განაცხადების წარმოდგენის ვადა დღეს დამთავრდა, ზუსტად შეიძლება დავასახელოთ მომავალი შეჯიბრების მონაწილეები: სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვეცია, ფინეთი, გფრ, შვეიცარია, აშშ, ნორვეგია, იუგოსლავია, იაპონია და საფრანგეთი.**

● **ლესტერი,** 31 მაისი. 24 წლის ა. ლერუილმა — ევროპის მძლეოსანთა მომავალ ჩემპიონატში (აგვისტო) „ინგლისის იმედმა“ — აქ გამართულ შეჯიბრებაში სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში აჯობა ყველას. სიმაღლეზე ხტომაში მისი შედეგი ერთობ მოკრძალებული იყო (სულ 2 მ), სამაგიეროდ, სიგრძეზე ნახტომი ყველაზე გრძელი აღმოჩნდა წლეულს ევროპაში — 812 სმ. 18 წლის დ. ბლეკმა 5000 მეტრზე რბენაში ევროპის იუნიორთა რეკორდი დაამყარა — 13.46.2. 1 მილზე რბენაში წლეულს მსოფლიოში მესამე შედეგით გაიმარჯვა უ. უილკინსონმა — 3.56,6.

● **ერფურტი,** 31 მაისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში გდრ-ის მძლეოსნებმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს: **100 მეტრზე რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო დროით გაიმარჯვა რ. შტეჰერ-მაისნერმა — 11,1 (ტარტანის ბილიკზე). გდრ-ის რეკორდები გააუმჯობესეს ფ. ზიზეკმა (110 მეტრზე თარჯრბენი — 13,4), ინგელორე ლოზემ (400 მ — 52,7) და მარგიტ ჰერბსტმა (სიგრძეზე ხტომა — 674 სმ).**

● **ალმა-ათა,** *31 მაისი. უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციულ მატჩში საუკეთესოდ გამოვიდა ტაშკენტელი ვ. ჩულკოვა. ამ 22 წლის სპორტსმენმა უკანასკნელ თვეში მეორედ გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში. ჩულკოვას შედეგი (182 სმ) საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში.*

საუკეთესონი IV ეტაპზე

კიევში ამას წინათ მოეწყო მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფიმ-ი) თასის გათამაშების IV ეტაპი ეტლიანი მოტოციკლებით კროსში (750 კბ სმ მანქანების კლასში). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

კიევის ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა ჰოლანდიის ეკიპაჟმა (ჰ. ლიუბერსი და ი. ბრაუვერსი). II ადგილზე არიან კიეველი არმიელები ე. ნეჩიპურენკო და ბ. პოგანოვსკი, III — კიევის მოტოციკლების ქარხნის წარმომადგენლები ი. კოროლიოვი და ვ. ხმიზოვი, რომლებიც სამამულო „სკ-3“ მარკის მანქანებით გამოდიოდნენ.

* * *

სურათზე: IV ეტაპზე საუკეთესონი. ცენტრში — ჰ. ლიუბერსი და ი. ბრაუვერსი, მარჯვნივ — ე. ნეჩიპურენკო და ბ. პოგანოვსკი, მარცხნივ — ი. კოროლიოვი და ვ. ხმიზოვი.

ა. ბორმოტოვის ფოტო (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სამი რეკორდი 30 წამში

ნალჩიკი, 31 მაისი. 8.237 ქულა — ასეთია სსრ კავშირის ახალი რეკორდი მძლეოსნურ ათჭიდში, რომელიც დღეს დაამყარა 24 წლის ბ. ივანოვმა (მოსკოვის ოლქი, „სპარტაკი“). ადრინდელი საკავშირო მიღწევა ერთბაშად სამმა სპორტსმენმა გააუქმა, რაც აშკარა გახდა მძლეოსნურ ათჭიდებში ქვეყნის თასის გათამაშების ბოლო ნახევარ წუთში.

კიეველმა ლ. ლიტვინენკომ („ბურევესტნიკი“) ორდღიან ბრძოლაში 8.044 ქულა დააგროვა. ეს 12 ქულით აღემატება სსრ კავშირის რეკორდს. მალე ოდესის „დინამოს“ წარმომადგენელმა ნ. ავილოვმა 8.096 ქულა მიიღო. ბრძოლა დაასრულა ივანოვმა. მან მრავალჭიდელისთვის ბრწყინვალე შედეგები აჩვენა 100 მეტრზე რბენასა და 110 მეტრზე თარჯრბენში, სიმაღლეზე ხტომაში, განსაკუთრებით კი შუბის ტყორცნაში გამოიჩინა თავი, სადაც ერთბაშად 12 მეტრით გააუმჯობესა პირადი მიღწევა. ავილოვმა და ხუთჭიდელ ქალთა შეჯიბრების მესამე პრიზიორმა ა. გაევაიამ (ავილოვის თანაკლუბელმა და თანაქალაქელმა) უკრაინის ახალი რეკორდები დაამყარეს. გაევაიას შედეგია 4897 ქულა.

მძლეოსნურ ხუთჭიდში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ორიოლელმა მასწავლებელმა ვ. ტიხომიროვამ („სპარტაკი“). იგი ხუთჭიდში პირველად გამოვიდა ამ სეზონში და შესანიშნავი შედეგი მოიპოვა — 5234 ქულა. ეს 113 ქულით მეტია ტიხომიროვას ძველ საკავშირო რეკორდზე და მსოფლიოში მესამე შედეგია წლეულს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ტიხომიროვა ბირთვის კვრაში, სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე რბენაში, სადაც თავის პირად მიღწევებს გადააჭარბა.

21 წლის ლენინგრადელმა ტ. კონდრაშოვამ II ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

ათჭიდი

ივანოვი — 8.237 ქულა: 100 მ — 10,6 წამი; სიგრძეზე ხტომა — 734 სმ; ბირთვის კვრა — 15,02 მ; სიმაღლეზე ხტომა — 201 სმ; 400 მ — 50,2 წამი; 110 მ თარჯრბენი — 14,1 წამი; ბადროს ტყორცნა — 43,62 მ; ჭოკით ხტომა — 430 სმ; შუბის ტყორცნა — 75,30 მ; 1500 მ — 4 წუთი და 50 წამი.

ხუთჭიდი

ტიხომიროვა — 5234 ქულა: 100 მ თარჯრბენი — 13,5 წამი; ბირთვის კვრა — 14,50 მ; სიმაღლეზე ხტომა — 170 სმ; სიგრძეზე ხტომა — 630 სმ; 200 მ — 24,3 წამი.

ესპანური პრესის აზრით

მადრიდი, 31 მაისი. ესპანეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს ევროპის ჩემპიონატის მატჩს სსრ კავშირისა და ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, მოსკოვის მატჩში მასპინძლებმა წარმატებას უმთავრესად კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით მიაღწიეს. პრესის აზრით, სწორედ საბჭოთა ფეხბურთელების მეტმა ათლეტურობამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ესპანელები შინ რევანშს აიღებენ.

გაზეთები ხოტბას ასხამენ ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელების თამაშს, რომლებმაც იმავე დღეს მალაგაში ისეთივე ანგარიშით (2:1) მოუგეს ახალგაზრდული გუნდების ევროპული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ესპანელ თანატოლებს.

ინგლისი — იტალია

შარშან პირველად მოეწყო იტალიისა და ინგლისის კლუბების საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. ასეთი შეჯიბრება ამას წინათაც გაიმართა.

მოგვყავს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები (ინგლისელებმა თავიანთ მინდვრებზე მიიღეს იტალიელები): „ბლეკპული“ — „რომა“ 1:3, „კრისტალ პალასი“ — „მილანი“ 1:1, „ჰიდერსფილდი“ — „ბოლონია“ 2:3, „სტოკ სიტი“ — „ვერონა“ 2:0, „სვინდონ ტაუნი“ — „სამპდორია“ 4:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „კალიარი“ 1:2.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

საქართველოს V სპარტაკიადის პროგრამით



ფარიკაობა. 2-7 ივნისი. ფარიკაობის დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49). დასაწყისი 10 ს.

სასტენდო სროლა. 2-8 ივნისი. არმიის სპორტკლუბის სასროლეთი. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

ველოსპორტი (ტრეკი). 2-4 ივნისი. ველოტრეკი (ცამოს ქ. № 89). დასაწყისი 18 ს.

კალათბურთი. 2-5 ივნისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). დასაწყისი 10 ს.

ფრენბურთი. 2-5 ივნისი. თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). დასაწყისი 10 ს.

მშვილდოსნობა. 2-5 ივნისი. „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მინდორი (ჭავჭავაძის პრ. № 74). დასაწყისი 10 ს.

ტყვიის სროლა. 2-5 ივნისი. ავჭალის სასროლეთი. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

ძალოსნობა. 2-8 ივნისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. დასაწყისი 11 ს.

ხელბურთი. 2-5 ივნისი. სპორტის სასახლე. დასაწყისი 10 და 18 ს.

მძლეოსნობა. 4-7 ივნისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი (ჭავჭავაძის პრ. № 49). დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02924